



საგრანტო კონკურსი „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასების სისტემა“

მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე

წინასიტყვაობა

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative) ფარგლებში, „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)“ აცხადებს საგრანტო კონკურსს „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასების სისტემა“.

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ხორციელდება „კონრად ადენაუერის ფონდის (KAS)“ მიერ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI)“, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSR DG)“, „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC)“, „კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC)“ და „ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტთან“ (IEP) თანამშრომლობით. პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ჯგუფების მდგრადობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, მათი სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებას.

„კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)“ 1999 წლიდან საქმიანობს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. თავისი საქმიანობით CTC უზრუნველყოფს ადგილობრივი ადამიანური და ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და გაძლიერება CTC-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მეტი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ საიტს www.ctc.org.ge.

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია დაეხმაროს სამოქალაქო ორგანიზაციებს თავიანთი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასა თუ შემდგომ განვითარებაში.

შესაბამისად, პროექტი შეიძლება მოიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია:

- ორგანიზაციის სტრატეგიის და მისი განხორციელების მოსალოდნელი შედეგების ობიექტური მაჩვენებლების (ინდიკატორების) სრულყოფაზე;





„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative)
მცირე გრანტების კონკურსი „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასება“

- ობიექტური მაჩვენებლების (ინდიკატორების) გადამოწმებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და ანალიზის სისტემის გაუმჯობესებაზე;
- ანგარიშგების ფორმებისა და მექანიზმების დახვეწაზე.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველი სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ან წარმომადგენლებმა უნდა გაიარონ თვით-მართული დისტანციური სასწავლო კურსი „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასება“.

აღნიშნული პირი თუ პირები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი ორგანიზაციის მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე და შემდგომ, საგრანტო კონკურსში მათი საპროექტო განაცხადი გამარჯვების შემთხვევაში, უნდა უხელმძღვანელონ პროექტს.

სასწავლო კურსსა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პროცესი

პროცედურა სასწავლო კურსსა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის შემდეგია:

- მონაწილემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია სასწავლო კურსზე „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასება“. რეგისტრაციისათვის იგი უნდა გაყვეს ბმულს „[რეგისტრაცია სასწავლო კურსზე](https://forms.gle/KWjowHZjayjnyuy6) (ქ). (<https://forms.gle/KWjowHZjayjnyuy6>)“ რეგისტრაცია სრულდება **2023 წლის 10 მარტს, ღამის 12:00 საათზე**.
- ინფორმაცია სასწავლო კურსის დაწყების /გახსნის შესახებ, ისევე როგორც მისი ინტერნეტ მისამართი და შესაბამისი ბმულები გაეგზავნებათ დარეგისტრირებულ მონაწილეებს რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან დაახლოებით ერთ კვირაში.
- სასწავლო კურსის გასავლელად მონაწილეს ეძლევა 1 თვე.
- სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებისა და სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა საბოლოო ტესტის შევსება. მონაწილემ სწორად უნდა გასცეს პასუხი მასში მოცემული კითხვების 60%;
- ინფორმაცია საგრანტო კონკურსში საპროექტო განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადის შესახებ, ინფორმაცია დამატებით დოკუმენტაციაზე, რომელიც თან უნდა ახლდეს საპროექტო განაცხადს, ელექტრონული ფოსტა, რომელზეც უნდა იქნას გამოგზავნილი განაცხადი და თანმხლები დოკუმენტაცია, მიეწოდება სასწავლო კურსის იმ მონაწილეებს, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ მას და მიიღებენ სერტიფიკატს.





„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative)
მცირე გრანტების კონკურსი „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასება“

პროექტების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

პროექტების განხორციელების მაქსიმალური ვადაა **6 თვე**. პროექტის ბიუჯეტის ზედა ზღვარი არის **2,000 ევრო (ეკვივალენტი ლარში)**.

პროექტი დაფინანსდება საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უნდა მოიცავდეს ყველა გადასახადს. შერჩეული საპროექტო განაცხადები დაფინანსდება ლარებში პროგრამის ფარგლებში შეთანხმებული კურსის თანახმად საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე.

საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარმოდგენისათვის გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება მიუხედავად იმისა, შეირჩა თუ არა მონაწილის განაცხადი.

საპროექტო განაცხადი

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

- „საპროექტო განაცხადი“ (იხილე დანართი 1, „საპროექტო განაცხადის ფორმა“)
- „პროექტის ბიუჯეტი.“ პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ევროში, MS Excel-ის დოკუმენტში (იხილე დანართი 2, „პროექტის ბიუჯეტი“). დაუშვებელია ხარჯის მითითება “lumpsum”-ად. ხარჯი მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი, მითითებული უნდა იყოს ხარჯის კატეგორია, ზომის ერთეული, რაოდენობა და ხარჯის მოკლე დასაბუთება.

შერჩევის პროცესი

პროექტის შერჩევა მოხდება საგრანტო კომისიის მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

N	კრიტერიუმები	ქულა
1	საპროექტო განაცხადის შესაბამისობა ტექნიკურ მოთხოვნებთან	10
2	რამდენად სრულფასოვნად არის აღწერილი მონიტორინგი-შეფასების სისტემის ის სფერო, რომლის გაუმჯობესება-განვითარება იგეგმება პროექტის ფარგლებში	15
3	რამდენად დასაბუთებულია, რომ მონიტორინგი-შეფასების სისტემის ზემოთ აღნიშნული სფეროს გაუმჯობესება-განვითარება მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის	15
4	რამდენად ნათლად არის დეკლარირებული პროექტის მიზანი და ამოცანები	10
5	რამდენად დამაჯერებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პროექტის მიზანსა და მის ამოცანებს შორის	15
6	რამდენად შესაბამისი და სპეციფიკურია ობიექტური მაჩვენებლები (ინდიკატორები)	5



„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative)
მცირე გრანტების კონკურსი „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასება“

N	კრიტერიუმები	ქულა
7	რამდენად შეესაბამება ხარჯები საგრანტო კონკურსის მიზანს და პროექტის ღონისძიებებს	10
8	რამდენად ზუსტი და აკურატულია პროექტის ბიუჯეტი	10
9	რამდენად გააზრებული და დამაჯერებელია მოვლა-პატრონობის გეგმა	5
10	წახალისებული იქნება რეგიონული ორგანიზაციები	5
სულ მაქსიმალური ქულა:		100

შერჩევის პროცესში შესაძლოა აპლიკანტებს მოეთხოვოთ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

თანხების გამოყენება

გრანტის სახსრებით დაფინანსდება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად შეესაბამება საგრანტო კონკურსის მიზანს და საპროექტო განაცხადით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. კერძოდ:

- ხარჯები დაკავშირებული ორგანიზაციული სტრატეგიის და მონიტორინგი-შეფასების სისტემის შემუშავებასთან (მაგალითად, სამუშაო შეხვედრის მოდერატორის ჰონორარი);
- ხარჯები დაკავშირებული კონსულტაციასთან სპეციალიზებული დარგობრივი ინდიკატორებისა და შესაბამისი მონაცემების შეგროვება-ანალიზის თაობაზე;
- სპეციფიკური მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები (მაგალითად, ლიცენზია, საჰონორარო გადასახადი (royalty), საწევრო თუ სხვა მსგავსი);
- მონიტორინგი-შეფასების სისტემით გათვალისწინებული საბაზო (baseline) და/ან ფაქტობრივი (end line) მონაცემების შეგროვება-ანალიზის ხარჯები;
- შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან თუ მონაცემთა ბაზების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები;
- შესაბამისი საზომი მოწყობილობის და /ან მასალების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯი;
- პერსონალის სწავლის საფასური, თუ ეს უკავშირდება მონიტორინგსა და შეფასებას;
- სხვა ხარჯი, რომელიც, ერთმნიშვნელოვნად შეესაბამება საგრანტო კონკურსის მიზანს და საპროექტო განაცხადს.



„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative)
მცირე გრანტების კონკურსი „სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასება“

არ დაფინანსდება:

- პერსონალის ანაზღაურება;
- ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები და საოფისე აღჭურვილობა;
- მონაწილეთა საერთაშორისო მგზავრობის ხარჯები (დასაბუთების შემთხვევაში დასაშვებია უცხოელი კოლეგის ტრანსპორტირების ხარჯების ასახვა);
- ალკოჰოლი, თამბაქოს ნაწარმი.

პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით არ მოხდება შემდგომში გრანტის მიმღების მიერ გადახდილი დღგ-ს ანაზღაურება და არ ჩაითვლება ხარჯში გრანტის გამცემის მიერ.

პროექტების შედეგების შეფასება

პროექტების განხორციელების პროცესში CTC ჩაატარებს რეგულარულ მონიტორინგს. პროექტის განმახორციელებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი თხრობითი და ფინანსური ანგარიშები.

საკონტაქტო ინფორმაცია

სასწავლო კურსსა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის კოორდინატორს, თიკა დოლიძეს:

ელ-ფოსტა: tika.dolidze@ctc.org.ge .



დანართი 1. საპროექტო განაცხადის ფორმა

საპროექტო წინადადების დასახელება	
განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელება	
რეგისტრაციის თარიღი	
ფაქტობრივი მისამართი	
ვებ გვერდი	
გვერდი სოციალურ მედიაში	
პროექტის ხელმძღვანელი	
პროექტის ხელმძღვანელის ტელეფონი	
პროექტის ხელმძღვანელის ელ-ფოსტა	
არსებული გამოწვევა და /ან განვითარების შესაძლებლობა	<p>გთხოვთ, აღწეროთ ორგანიზაციის მონიტორინგი-შეფასების სისტემის ის სფერო, რომლის გაუმჯობესება-განვითარებასაც გეგმავთ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში.</p> <p>დაასაბუთეთ, რომ ცვლილებები აღნიშნულ სფეროში, მნიშვნელოვანია როგორც საქმიანობისა და მისი შედეგების შეფასების გაუმჯობესებისათვის, ასე ორგანიზაციული სწავლებისა და შიდა თუ გარე ანგარიშგებისათვის (არა უმეტეს 500 სიტყვა).</p>
პროექტის მიზანი	<p>პროექტის მიზნის ფორმულირებისას გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საგრანტო კონკურსი ემსახურება ორგანიზაციის მონიტორინგი-შეფასების სისტემის გაუმჯობესება - განვითარებას (არა უმეტეს 50 სიტყვა).</p>
პროექტის ამოცანები	<p>გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ და მიუთითოთ ის კონკრეტული ამოცანები (1-დან 3 -მდე), რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს ზემოთ აღწერილი გამოწვევის დაძლევისა და პროექტის მიზნის მიღწევას (არა უმეტეს 100 სიტყვა).</p>
პროგრესის შეფასება	<p>გთხოვთ, განსაზღვროთ ობიექტური მაჩვენებლები (ინდიკატორები), რომელთა მეშვეობით დაადასტურებთ პროექტის ამოცანების შესრულებას. ყოველი ამოცანის საზომად სასურველია გამოიყენოთ არა უმეტეს 2 მაჩვენებლისა (ინდიკატორისა). ასევე, მნიშვნელოვანია მიუთითოთ მათი ვერიფიკაციისათვის საჭირო მონაცემთა წყარო (არა უმეტეს 200 სიტყვა).</p>
ლონისძიებათა გეგმა	<p>გთხოვთ, შეძლებისდაგვარად ზუსტად და კონკრეტულად აღწეროთ ის ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება პროექტის ამოცანების განხორციელებას. მნიშვნელოვანია, ნათლად ჩანდეს კავშირი ამოცანებსა და ღონისძიებებს შორის, რისთვისაც გთხოვთ გამოიყენოთ ნუმერაცია (ამოცანა 1, ღონისძიება 1.1, 1.2, 1.3, ..., ამოცანა 2, ღონისძიება 2.1, 2.2, ..., და ასე შედგე). ღონისძიებების აღწერისას უნდა იქნას ნაჩვენები რა, სად, როგორ, რა ვადაში და რა მოცულობით იქნება გაკეთებული, ვინ იქნება პასუხისმგებელი შემსრულებელი (არა უმეტეს 1,500 სიტყვა).</p>
მოვლა-პატრონობის გეგმა	<p>გთხოვთ აღწეროთ, როგორ მოხდება მონიტორინგი-შეფასების სისტემაში განხორციელებულ ცვლილებათა შენარჩუნება პროექტის დასრულების შემდგომ (არა უმეტეს 150 სიტყვისა).</p>
ბიუჯეტი	<p>იხილე MS Excel -ის ფორმა „პროექტის ბიუჯეტი.“</p>